ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

მეხუთე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას, საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

დათუნა მოდებაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. ე.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №021/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 20.03.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ჩ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ჩ. მიმართ „დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის“ შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 20 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ე. და მოითხოვა ადვოკატ მ. ჩ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ჩ. წარმოადგენს მისი ყოფილი მეუღლის ადვოკატს, რომლის მიმართაც სააპელაციო სასამართლოში აქვს სამოქალაქო დავა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ 2012 წლის 15 თებერვალს ადვოკატმა მ. ჩ. დაიბარა თავის ოფისში და როგორც მას, ასევე მის ადვოკატ ლ. ჭ. მიაყენა სიტყვიერი შეურაცყოფა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მ. ჩ. მის ადვოკატს უწოდა უცოდინარი, მახინჯი და ასე შემდეგ, ხოლო მას დაემუქრა, რომ თუ არ გამოიტანდა სააპელაციო საჩივარს წაართმევდა ყველაფერს მათ შორის სახლსაც და გაანადგურებდა. აღნიშნულ ფაქტს მოწმის სახით ესწრებოდა განმცხადებლის თანმხლები პირი მ. ჩ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ჩ. პროცესებზე თანამონაწილე პირებსაც აყენებდა შეურაცხყოფას.

1.5 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტის შემდეგ მას ეშინია პროცესის გაგრძელების, რადგან შესაძლოა მ. ჩ. სხვა დროს მართლაც შეუქმნას პრობლემები.

1.6 საჩივრის ავტორთან ეთიკის კომისიის გასაუბრება შედგა 2012 წლის 29 თებერვალს, რა დროსაც მან დაადასტურა საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები.

2 მოწმე ლ. ჭ. ახსნა–განმარტება:

2.1 მოწმე ლ. ჭ., რომელთან გასაუბრებაც ეთიკის კომისიაში შედგა 2012 წლის 29 თებერვალს აღნიშნავს, რომ ერთ დღეს მას დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მ. ჩ. და სთხოვა ვ.ე. ნომერი. მან აღნიშნული ნომერი მისცა ადვოკატს. საღამოს დაურეკა ვ.ე., რომელიც გაღიზიანებული და აღშფოთებული იყო, რადგან მისი გადმოცემით მ. ჩ. მისთვის და ლ. ჭ. მიუყენებია შეურაცყოფა. ვ. ე. თქმით, ამ ფაქტს ესწრებოდა მისი მეუღლე მ. ჩ., რომელმაც იგივე დაადასტურა.

2.2 ლ. ჭ. აღნიშნავს, რომ მ. ჩ. თბილისის საქალაქო სასამართლოშიც მიაყენა შეურაცხყოფა პროცესზე, თითქოსდა ის აღიზიანებდა და აქეზებდა თავის კლიენტს, ვ.ე.

3 ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატი მ. ჩ. აღნიშნავს, რომ იგი იცავდა საჩივრის ავტორის მეუღლის ინტერესებს სასამართლო პროცესზე. მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესზე საქმის მორიგებით დამთავრების შემოთავაზებაზე დათანხმების შედეგად განაწყენდა განმცხადებლის წარმომადგენელი ლ. ჭ., რომელმაც ვ. ე. სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება ურჩია, თუმცა მოსამართლემ ის დააბრუნა სხდომის დარბაზში, რათა მას მორიგებისადმი საბოლოო პოზიცია ჩამოეყალიბებინა, რომელსაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მისი წარმომადგენელი. საბოლოოდ საქმე დასრულდა მხარეთა მორიგებით.

3.2 ადვოკატი უთითებს, რომ აღნიშნულის შემდეგ ადვოკატ ლ. ჭ. რწმუნებით ვ. ე. მეორე სარჩელი შეიტანა თავისი სტუდენტი შვილების წინააღმდეგ და მათგან ალიმენტის სახით

თვეში 300 ლარის გადახდა მოითხოვა, რაზეც სასამართლოს მიერ მოსარჩელე მხარეს ეთქვა უარი, რაც განმცხადებელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

3.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2012 წლის 14 თებერვალს მასთან მივიდა ვ. ე. ყოფილი მეუღლე ლ. ს. და სთხოვა, ახალი სამოქალაქო დავა ურთიერთშეთანხმების გზით მოეგვარებინა. სწორედ მისი თხოვნის საფუძველზე დაუკავშირდა ის ვ. ე. და დაიბარა ოფისში, რათა შეთანხმებულიყვენენ მორიგების პირობებზე. ვ. ე. თანხმობა განუცხადა და ოფისში მივიდა უცნობ ქალბატონთან ერთად. პირობათა შეთავაზების შემდეგ ვ. ე. განაცხადა, რომ ადვოკატის გარეშე ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, თუმცა თანმხლებმა ქალბატონმაც მოუწოდა, რომ ჯობდა დავა შვილებს შორის მოლაპარაკებით დაესრულებინა.

3.4 ადვოკატის განმარტებით, მან ვ. ე. უთხრა, რომ ჩივილს, ადვოკატებთან ფულის ხარჯვას და შვილებთან ურთიერთობის გართულებას მისთვის მათთან საერთო ენის გამონახვა აჯობებდა. მისი მხრიდან მუქარასა და შანტაჟს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულ საუბარს ესწრებოდნენ მისი ოფისის თანამშრომლები, ადვოკატები მ. ბ. და ხ. მ.

4 მოწმე ხ. მ. ახსნა–განმარტება:

4.1 მოწმე ხ. მ. ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ მუშაობს ადვოკატ მ. ჩ. ერთად საადვოკატო ბიუროში. მოწმე აღნიშნავს, რომ 2011 წლის 20 ივნისს მხარეთა შორის დავა დასრულდა მორიგების გზით. თავადაც ესწრებოდა აღნიშნულ სასამართლო სხდომას, რომელზეც მოსამართლე მ. ს. მხარეებს შესთავაზა მორიგება, რაზეც დათანხმდა ვ. ე.. აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია მისი წარმომადგენლის გაღიზიანება და ვ. ე. კატეგორიულად მოსთხოვა დაეტოვებინა სხდომის დარბაზი, ვინაიდან იგი სულიერად აღელვებული იყო და ვერ აკონტროლებდა თავს. ვ. ე. დატოვა დარბაზი, თუმცა მოსამართლის მითითებით ის დაბრუნდა სხდომის დარბაზში, დააფიქსირა თავისი პოზიცია და მხარეთა შორის დავა დასრულდა მორიგების გზით.

4.2 მოწმე უთითებს, რომ 2011 წლის დეკემბერში ვ. ე. ახალი სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი შვილებისაგან ალიმენტის დაკისრება 300 ლარის ოდენობით. აღნიშნულ საქმეზე მოწმე ხ. მ. და ადვოკატი მ. ბ. წარმოადგენდნენ ნ. და ზ. ე.. სასამართლოს მიერ ვ. ე.. სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ ლ. ჭ. რწმუნებით გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში.

4.3 მოწმე აღნიშნავს, რომ 2012 წლის 14 თებერვალს მათ ოფისში მივიდა აღელვებული ლ. ე., რომელმაც თავის რწმუნებულს მ. ჩ. სთხოვა, დავა კვლავაც მორიგების გზით დაესრულებინათ. მას გარკვეული წინადადების შეთავაზება სურდა მისი ყოფილი მეუღლისათვის. მ. ჩ. ვ .ე. ადვოკატთან დარეკვა შესთავაზა, რაზეც ლ. ე. სთხოვა, რომ მისი ღრმა რწმენით ლ. ჭ. უდიდესი წვლილი მიუძღოდა მის ოჯახში შექმნილ დაძაბულ სიტუაციაში, თანაც მისივე განმარტებით, ლ. ჭ. რამოდენიმეჯერ მივიდა მათთან სახლში იმ მოტივით, რომ თუ ის და მისი შვილები სარწმუნოებას შეიცვლიდნენ მათ შორის დავა დასრულდებოდა. ადვოკატის განცხადებით, ვ. ე. მთლიანად დამოკიდებული იყო მასზე და რასაც ეტყოდა იმას გააკეთებინებდა. აღნიშნულ შემოთავაზებაზე მორიგება არ შედგა.

4.4 მოწმის განმარტებით, ვინაიდან ლ. ჭ. თავიდანვე მხარეთა მორიგების წინააღმდეგი იყო, ლ. ე. მოითხოვა უშუალოდ ვ. ე. შეხვედრა და საუბარი. მ. ჩ. მოწმეთა თანდასწრებით დაურეკა ვ.ე. და სთხოვა აღნიშნული წინადადების განსახილველად ოფისში მისვლა. ვ. ე. იმავე დღეს საღამოთი უცნობ ქალბატონთან ერთად, რომელიც მათ გააცნო მის მომავალ მეუღლედ, მივიდა ოფისში. მ. ჩ. გადასცა მას ლ. ე. წინადადება და ურჩია, რომ დათანხმებულიყო, რამეთუ მსგავსი დავები, როგორც მორალურ, ისე ფინანსურ ზიანს აყენებდა მათ შვილებს. ვ. ე. განცხადებით, გადაწყვეტილებას ადვოკატთან გასაუბრების შემდეგ მიიღებდა.

4.5 მოწმე უთითებს, რომ ვ. ე. თანმხლებმა ქალბატონმა მასთან საუბრისას შეშფოთება გამოთქვა ადვოკატ ლ. ჭ. ქმედებათა გამო. მისი თქმით, ადვოკატი ცუდ ზეგავლენას ახდენდა ვ. ე. და აღნიშნული დავები ადვოკატ ლ. ჭ. მეშვებოთ არასოდეს დასრულდებოდა. მოწმის განმარტებით, საუბარი დასრულდა მშვიდ გარემოში. ადვოკატ მ. ჩ. მხრიდან მუქარასა და შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

4.6 მოწმე ხ. მ. მიერ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები თავის ახსნა–განმარტებაში დაადასტურა მოწმემ მ. ბ.

II სამოტივაციო ნაწილი

5 ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი მ. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

5.2 ვ. ე. 2012 წლის 20 თებერვალს მომართა ეთიკის კომისიას.

5.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2011 წელსა და 2012 წლის თებერვალში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

6 შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ჩ. მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მ. ჩ. არაკორექტულად საუბრობდა მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე სასამართლო პროცესებზე, ასევე ადვოკატმა მისსავე ოფისში 2012 წლის 15 თებერვალს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ვ. ე., ადგილი ჰქონდა მუქარასაც.

7.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ჩ. მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევაზე:

7.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

7.3 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.

7.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში/დისციპლინური საქმე N075/10/ დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების უფლებებსაც.“

7.5 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

7.7 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი მ. ჩ. ვ. ე. ურთიერთობისას, როგორიცაა მორიგების პირობებზე მასთან მოლაპარაკება, იცავდა საკუთარი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.8 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი არაკორექტულად საუბრობდა მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე სასამართლო პროცესებზე აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, სასამართლო სხდომის ოქმი, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

7.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის 2012 წლის 15 თებერვალს სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის მიყენების ფაქტი, გარდა საჩივრისა, სხვა სახის მტკიცებულებით არ დასტურდება. მხარემ წარმოადგინა თავისი ადვოკატის ლ. ჭ. ახსნა–განმარტება, მაგრამ ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს მას მტკიცებულების სახით იმის გამო, რომ ლ. ჭ. უშუალოდ არ შესწრებია მ. ჩ. და ვ.ე. საუბარს და მისთვის თავისი კლიენტის გადმოცემიდან გახდა ცნობილი ადვოკატის მიერ მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შესახებ. შესაბამისად, ეთიკის კომისიას არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს 2012 წლის 15 თებერვალს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

7.10 ეთიკის კომისია თვლის, რომ ადვოკატ მ. ჩ. ქმედებებში არ დასტურდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები და ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლით; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით და 31-ე მუხლით, გადაწყვიტა:

1. N021/12 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ მ. ჩ. მიმართ, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დათუნა მოდებაძე/

კოლეგიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/